ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №2603

ქ. ბათუმი, 07 სექტემბერი 2018 წ

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 05 თებერვლის N532 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ცვლილება იქნას შეტანილი „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 05 თებერვლის N532 ბრძანებაში და ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი. საბჭოს თავმჯდომარეს, მოადგილეს და მდივანს საკუთარი შემადგენლობიდან 2 წლის ვადით საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად კენჭისყრის საფუძველზე ირჩევს საბჭოს წევრები. საბჭოს თავმჯდომარის, მოადგილის და მდივნის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვთ საჭოს არანაკლებ 3 წევრს.“

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი